უწმინდესი პატრიარქი კირილე ყაზანში ჩავიდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 18.005.2023. 18 მაისს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე პირველი იერარქიული ვიზიტით თათარსტანის მიტროპოლიას ეწვია.

გაბდულა ტუკაის სახელობის ყაზანის აეროპორტში უწმინდეს პატრიარქ კირილეს დახვდნენ: თათარსტანის რესპუბლიკის მეთაური (რაისი) რ.ნ. მინიხანოვი, ყაზანისა და თათარსტანის მიტროპოლიტი კირილე, თათარსტანის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იუ.ზ. კამალტინოვი.

უწმინდესის თანმხლები ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი,ვოსკრესენსკის მიტროპოლიტი დიონისე; საგარეო საეკლესიო კავშირების

განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი; სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილე არქიმანდრიტი ფილარეტი (ბულეკოვი); უწმინდესი პატრიარქის კირილეს პირადი მდივანი, არქიმანდრიტი ალექსი (ტურიკოვი); საპატრიარქოს პროტოკოლის სამსახურის უფროსი, დეკანოზი ანდრეი ბონდარენკო; ეკლესიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ვ.რ. ლეგოიდა.

აეროპორტიდან რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი ყაზანის ღირსი სერაფიმე საროველის სახ. ტაძრის კომპლექსისკენ გაემართა, – **იტყობინება** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90353/